# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 57 | კვირა, 8 სექტემბერი 1902 წ. | გაზეთის № 1919.

* * *

(გიოტესი)

უდარდელი ქალი ვიყავ;
ქოხში წყნარად მატყლს ვართავდი:
კმაყოფილი, მოღიმარე
მორცხვ, მხიარულ ის ვგავდი.

ქოხში ბიჭი შემოვიდა,
ტანადი და ახალგაზდა;
აქეთურზე, იქითურზე
ლაპარაკი ჩამოვარდა.

ნართი მიქო—სუფთაო,
დალალებიც მოიწონა;
ენის ჟინის მოსაკლავად
ათასი რამ მოიგონა.

ეტყობოდა ამდგარიყო
მოუსვენარ გუნებაზე;
ძაფი გაწყდა უცაბედად
იმის ხელის ცდუნებაზე.

ნართი დიდი გამოვიდა,
ორი სულის ნაკეთები;
მაგრამ კვეხნით არსად ვამბობ,
ტოლებში რომ გამოვჩნდები.

ფეიქართან რომ წაველი,
პირი წითლად მენთებოდა;
გულს თითქო სურს ამოხტომა,
მკერდს დონივრად ეხლებოდა.

სამუშაო მახვევია.
გასარეცხი, შესღები,
მაგრამ რუ-სთან რომ მივდივარ,
ნაპირაზე ძლივს ვიხრები.

ქოხში ვმალამ ჩემს ხელსაქმეს:
ხალხის თვალის მერიდება;
ეჰ, დღეს თუ ხვალ, დაფარული
არ გაცხადდეს, არ იქნება!

მ. დ.

# მგზავრის წერილები

საკუთარის კორესპონდენტისაგან

### გემზედ მისვლა.

პატარა გემმა „ჟირონ ე გარონ"-მა უნდა წაგვიყვანოს ბორდოდან ოკეანეს დიდ გემისაკენ. დიდრონი გემები, ჟირონდის პატარა სიღრმის გამო, ვერ მოდიან ბორდომდინ, ამიტომ იძულებულნი არიან „პაიოკთან" გაჩერდნენ, 45 ვერსის მანძილზედ ბორდოდან.

პატარა გემი ნელ-ნელა შორდებოდა ბორდოს ნაპირებს. სადგურზედ მრავალი ხალხი მოგროვილიყო. ნათესავები და მეგობრები ხელსახოცების ქნევით გამოსათხოვარ სალამს უგზავნიდნენ მგზავრებს. მხოლოდ მე ვიდექი მარტოდ-მარტო, დაფიქრებული გავყურებდი გაშლილ ზღვას და ვიგონებდი სამშობლოდან წამოსვლის უკანასკნელ წამებს.

მომაგონდა მოუსვენარი დღე წასვლის წინ, ბარგის შეკვრა-ჩალაგებასა და მეგობრების ნახვაში გატარებული. მერე ნათესავებსა და მეგობრებთან გამოთხოვება და, ბოლოს, სამშობლოს მოშორება, როდესაც დარიალის ხეობაში გოლიათი კავკასიონი უზარმაზარ ფარდასავით აეფარა სამშობლო კუთხეს. ვინ იცის, იქნება ველარც-კი ვნახო ეს ძვირფასი კუთხე! ძნელია იმ წრისა და ადგილიდან მოშორება, სადაც ბავშვობა გაგიტარებია, სადაც უფრო ადვილად იშრომებ და უფრო ადვილად მოიტან სარგებლობას.

ათას ფიქრით გატაცებულს, არც-კი შემიმჩნევია, ჩვენს გემზედ რამდენი მგზავრი იყო, ან ვინ იყვნენ ეს მგზავრები. წარსულის მოგონება, დღევანდელი პროექტები, მომავალის იმედი—ყოველივე ეს ხელს მიშლიდა, თვალყური მედევნებინა მგზავრებისათვის.

პატარა გემი საშინელის სისწრაფით მიარღვევდა ჟირონდის ტალღებს. ჩვენ თვალწინ მშვენიერი, იშვიათი სურათი იშლებოდა. ჟირონდის ნაპირები მოფენილია ბაღებითა და ვენახებით. აქა-იქ, ბაღებსა და ვენახებს შუა, პატარა, ლამაზი და სუფთა ქვითკირის სახლებია ჩასკუპებული. ნაპირებთან დასცურავენ გაშლილ იალქნიანი გემები. ამ გემებიდან ისმის ახლად შეთხზული სიმღერები: „გავათხოვოთ მონოზნები"-ო და სხვა. როგორც ჩანს, კონგრეგაციების საქმეს აქაც აუღელვებია საზოგადოება; აშკარა-კია, რომ უმრავლესობას მთავრობის მხარე უჭირავს.

ორი-სამის საათის სიარულის შემდეგ მივედით ოკეანეს დიდ გემთან. „ბრაზილია"—ასე ეძახიან ამ გემს—„მესაჟერი მარიტიმის" საზოგადოებას ეკუთვნის. სიგრძე 70 საჟენი აქვს, ხოლო სიგანე—7-8 საჟენი. აი, გემი თუ გნებავთ, სწორედ ეს არის (სურათი №1). ჩვენ რომ მივედით, „ბრაზილია" უზარმაზარ დევივით, „ცათამდინ აყუდებული", მარტოდ-მარტო იდგა ზღვის სივრცეში.

მოიცა ცოტა!—სურათი ედსლეისა.

პატარა გემიდან ხელად გასდვეს ხიდი „ბრაზილიაზე" და მგზავრნი ნელ-ნელა გადავიდნენ. გემის ბანზე რამდენიმე მგზა-

ვრი დაგვხვდა, რომელთაც 18-20 დღე გაეტარებინათ ამ საპყრობილეში. ოცი დღე, თითქმის ერთი თვე, უნდა ვიცხოვროთ ერთად; შეიძლება ერთის გიჟმაჟის ტალღის მეოხებით ერთადაც გამოვესალმოთ ამ წუთი-სოფელს. ვინ იცის, გაუწევთ ერთმანეთს თანაგრძნობასა და დახმარებას!..

მგზავრთა უმრავლესობა ბარგს შეჰყურებდა, რომელიც ძირიდან მაღლა ჯაჭვებით ამოჰქონდათ. რა საშინლადა ღელავს აგერ ის ახალგაზდა ქალი, სახეზე ეტყობა მოუსვენრობა: იმის ყუთებს ბურთებსავით ისვრიან მაღლიდან ქვეით, სადაც ხან და ხან წყალიც მოხვდება ხოლმე. ვინ იცის, რა ძვირფასის ჩვრებითაა გატენილი ეს ყუთები; ვინ იცის, პარიზის რა შესანიშნავი მაღაზიები დაუვლია ამ ქალს თავის განძის მოსაგროვებლად?

— ეგრე სროლა როგორ შეიძლება?—ეუბნება ზღვაოსანს ახალგაზდა ქალი.

— ზღვაში აგრე ვიცით!—უპასუხა უდარდელად ზღვაოსანმა:—არაფერი დაიკარგება, ნუ გეშინიანთ.

ზარის ხმა გაისმა. აშფოთდნენ და აჩქარდნენ ყველანი. მგზავრმა, ბარგის გადამზიდველმა, მოსამსახურემ—ყველამ ჯიბეს გაიკრა ხელი, ზოგი აძლევდა ფულს, ზოგი ჯიბეში ილაგებდა. აშალეს ხიდიც, „ბრაზილიასა“ და „ჟირონდის“ შორის გადებული. ბოლოს, უზარმაზარი გემი შეტოკდა და, ღონიერის დასტვენის შემდეგ, ბაყ-ბაყ მდევივით მძიმედ დაიძრა.

### საით მივდივართ?

მკითხველი ადვილად მიჰხვდება საითაც მივდივართ, თუ გაირჯება და აქვე მოთავსებულ რუკას დაჰხედავს. აი ჩვენი გზა: ტფილისი, ვენა, პარიზი, ბორდო, პორტო, ლისაბონი, დაკარი (აფრიკა), პერნამბუკო, ბაია და რიო-დე-ჟანეირო. ჟკან

...

...უძულზედ დასჭირდება სავაჭრო საქმეებისა გამო გზის შეცვლა, ან დიდის ხნით გაჩერება! ჩვენი მგზავრობა დამოკიდებულია შემთხვევაზე; შესაძლებელია, გაგვაჩერონ ერთი თვე ისეთ ადგილას, სადაც სულ არ მოველოდით.

ქართველებს იმ თავითვე შორს მოგზაურობა არ უყვარდათ. რაღა შორს, სამშობლო კუთხეების დავლასა და დათვალიერებასაც ვერ ვახერხებთ ხოლმე. იშვიათად შეჰხვდებით



გემი „ბრაზილია“

კახელს, რომ იმერეთ-გურია-სამეგრელო დაევლოს, ან იმერელს—კახეთი დაევლოს. ბედმა მარგუნა შორს ქვეყანაში გამგზავრება, ამიტომ ვეცდები, არც ერთი შესანიშნავი ადგილი და კუთხე არ გაუშვა აუწერელი.

საგანი მოგზაურობისა—შავის-ქვის მადნების გამოკვლევაა ბრაზილიასა და კუბაში. შავი-ქვის მადნები ბრაზილიაში მდებარეობს ოროპრეტოსა (500 ვერსის მანძილზე რიო-დე-ჟანეიროდან) და ქ. ბაიას მახლობლად, ხოლო კუბაში—ქალაქ სანტიაგოს მახლობლად.

ვეცდებით, ზოგიერთი წერილი ამ ჩვენზე დაშორებულ ... შავის-ქვის წარმოებასაც უძღვნათ.

...ბა აშფოთებულია. „ბრაზილია“ მაინც მისრიალებს და ...კერდით დევივით აპობს ტალღებს. ეს კია, ჩვენი ...ობა ამ მგზავრობის დროს ვერაფერი სანუგეშო იქ...მოიდგინე, მკითხველო, ხაფანგში მომწყვდეული ...ოთავს, დარბის, მოუსვენრად ჰგრძნობს თავს, ხაფა...ერთ კედელს მიაწყდება, ხან მეორეს.

საქმეც ასეა: ქარიშხალი უბერავს, ზღვა ღელავს, ...რიალობს, ჩვენ-კი ან მოუსვენრად დავდივართ გე...კედელ შორის, ან კიდევ, რყევისაგან შეწუხებულნი ...ად ავადმყოფნი, ერთ ადგილას მიკუნჭულნი ვსხედ-

გიორგი დეკანოზიშვილი.

... (აფრიკა)

---

# ნარევი

...ოეთის პოლიუსი. ჩრდილოეთის პოლიუსი ჯერ კი...ლოებითაა მოცული ცნობის-მოყვარე კაცობრიობისთვის. ...ვერ სძლია ჯერ-ჯერობით ბუნებას და ჩვენის პლანეტის ...ლ კუთხეს ფარდა ვერ აჰხადა, დღემდე ვერაფერი გააწ...ში ვერც განვითარებულმა ტეხნიკამ და ვერც მკვლევარ...ობამ. ვინ იცის, რამდენი კაცი იმსხვერპლა პოლიუსამდე ...ა იქაურ ადგილების გამოკვლევის სურვილმა? შორს ...იდეთ, ყველას ესხომება ანდრე. დღემდე ისიც კი ვერ ...გვარის სიკვდილით გამოესალმა წუთისოფელს ეს გა...ჭვარი და გულადი მოგზაური.

...ული კაცობრიობა გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს ...ექსპედიციას. ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ გამგზავრებულს ასეთ ექსპედიციისაგან მიღებული ამბები წამსვე ეგზავნება დედა-მიწის ყოველ კუთხესა და ქალაქს. ისე წელიწადი არ გავა, რომ რამდენიმე ექსპედიცია არ გაუდგეს გზას ჩრდილოეთისაკენ. თავის დროზედ დიდი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია ნორვეგიელ

ნანსენისა და იტალიელ პრინცის აბრუცცის ექსპედიციებმა. პირველმა ისეთი ადგილები განვლო, სადაც მანამდე ადამიანის ფეხი არ დადგმულა. ნანსენმა თან მრავალი საყურადღებო ცნობა და გამოკვლევა მოიტანა. უფრო საყურადღებოა აბრუცცის ექსპედიცია, რომელიც ჩრდილოეთის პოლიუსს უფრო მეტად მიუახლოვდა, ვიდრე ნანსენი. ჯერ-ჯერობით იტალიელ პრინცისთვის პირველობა არავის ჩამოურთმევია.

აბრუცცის შემდეგ სამი ექსპედიცია გაემართა ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ: პირველი—ამერიკელის ბალდუინისა, რომელმაც უნაყოფოდ ჩაიარა. მეორე—პირისა, რომელიც ჯერ არ დაბრუნებულა და მესამე—სვერდუპისა, რომელიც, ამბობენ, დაიღუპაო.

დიდი იმედი ჰქონდა ყველას ბალდუინის ექსპედიციისა. ფული—თითქმის ორი მილიონი მანეთი—ამ ექსპედიციისათვის გადასდო ერთმა ამერიკელმა მილიარდელმა. ევროპიელებსა და ამერიკელებს ამ საქმეშიაც დიდი ჯიბრი აქვთ: ერთსაც უნდა პირველობა და მეორესაც. აი, სწორედ ამიტომ ამერიკელები ფულს არა ჰზოგავენ ექსპედიციებისათვის.

დიდის სამზადისის შემდეგ, 1901 წლის 10 ივლისს ბალდუინის ექსპედიცია ტრომსედან გზას გაუდგა. სამმა გემმა დიდი-ძალი სურსათი დაახვედრა მგზავრებს არხანგელსკში, სადაც ბალდუინმა შეიძინა 320 მარხილში შესაბმელი ძაღლი და 15 ადგილობრივ ჯიშის ცხენი. 23 აგვისტოს 43 კაცისაგან შემდგარი ექსპედიცია საზამთროდ დაბანაკდა. ჰფიქრობდნენ, გაზაფხულზე შესდგომოდნენ საქმეს და მხნედ გაეკვლიათ გზა პოლიუსისაკენ. ბალდუინს იმედი ჰქონდა, რომ 4 ივლისს, ჩრდილოეთ შტატების დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, პოლიუსზედ დროშას აიფრიალებდა. მაგრამ იმედი იმედადვე დარჩა და უკან დაბრუნებული ექსპედიცია 31 ივლისს ნორვეგიის ნაპირს მიადგა. დღემდე არ იციან დანამდვილებით, რა იყო მიზეზი ექსპედიციის უკან დაბრუნებისა. ასახელებენ ორ უმთავრესს მიზეზს: მგზავრთა შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებასა და დიდ-ძალ ბარგს, რომელიც მგზავრობას აძნელებდა. ამბობენ, ბალდუინი ხელ-ახლა აპირობს გამგზავრებას პოლიუსისაკენაო.

შეიძლება უფრო ნაყოფიერი გამოდგეს პირის ექსპედიცია. პირი გამოცდილი და დახელოვნებული მოგზაურია 12 წელიწადია გრენლანდიის იკვლევს, სადაც ფეხიც-კი მოიტეხა და სადაც ათასი გაჭირვება, შიმშილი, წუურვილი და სიცივე გამოსცადა. ერთხელ პირის ფეხის თითები გაეყინა. საქმე იქამდე მივიდა; რომ თანამგზავრმა უბრალო, პურის საჭრელ დანით შვიდი თითი მოსჭრა. აი ეს მხნე კაცი გაემართა წარსულ გაზაფხულზედ პოლიუსისაკენ. თან პირის ერთად-ერთი კაცი ჰყავს, განუშორებელი თანამგზავრი ზანგი ხლიზონი. მთელი ბარგი უწყვიათ ათ მარხილზე, რომელშიაც ძაღლები აბია. ამას გარდა სურსათი შენახული აქვთ კონცერტშიაც. დაბრუნებისას პირი ჰფიქრობს ძაღლები ჰხოცოს და იმათი ხორცი იხმაროს საკვებად. პირი 45 წლის კაცია.

რაც შეეხება მესამე ექსპედიციას, რომელსაც სვერდუპი მეთაურობს, დღემდე არაფერი ისმის იმის შესახებ. სვერდუპს წინადაც არა ერთხელ უმოგზაურნია ჩრდილოეთისაკენ. სხვათა შორის იგი ნანსენთანაც იყო. ეს ექსპედიცია 1898 წელს გაუდგა გზას იმავე გემით, რომლითაც ნანსენმა იმგზავრა. თან სამის წლის სურსათი წაიღო. 1899 წლიდან აღარავითარი ამბავი აღარ არის სვერდუპისაგან.

## აზრები და აფორიზმები

გადაჭარბება არაფერში ვარგა: გადაჭარბებული თვით განხორციელებული გულ-კეთილობაც-კი მავნებელია ხოლმე.

**

ცხოვრების ამაოებით ნატკენ გულს ვეღარაფერი ამთელებს, ვერც დიდება და ვერც სიმდიდრე.

**

ძნელია რისიმე გლოვა, მაგრამ ყველაზე უძნელესი და იმავ დროს ყველაზე უხანგრძლივესი გლოვა—ბავშვობის დროის უმანკოების სამუდამოთ დაკარგვის გლოვაა.

**

სადაც მეტი გასართობია, მოწყენილობაც იქ არის.

**

ამაოდ დავეძებთ სიმართლეს: ადამიანთა ვერაგობამ დიდი ხანია იგი ცრემლად დაადნო. ამიტომ, სადაც ჭეშმარიტი ცრემლი იღვრება, სიმართლეც ოდნავ იქ გაიბრწყინებს ხოლმე.

**

ფული სიმართლის ჯალათია და ამიტომ ბევრიც რომ ვეცადნეთ, ერთად ვერ მოვათავსებთ.

## ტფილისის საბჭოს მოღვაწეობა



განაპირა ადგილების მცხოვრებნი განუწყვეტლივ თხოულობენ ქუჩების მოკირწყვლას, ტალახში ვიხრჩობითო, მაგრამ....



ვითომ ბევრსაც ხარჯავენ ქუჩების მოსაკირწყლავად, მაგრამ....




ბევრს ლაპარაკობდნენ ჩვენი „მამები“ და სანიტარები ქუჩების სისუფთავეზე, მაგრამ....



ჩვენმა „მამებმა“ ქუჩების დაგვა თვითონ რომ ვერ შეიძლეს, სახლის პატრონებს მოახვიეს, უკეთ მოუვლიან და ხალხს ჩვენ-სავით მტვრით არ შეაწუხებენო, მაგრამ....

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 7 Сентября 1902 г. Электропеч. груз. изд. т—ва. (ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ობა).